საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წლიური მეხუთე

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
სთვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. წერტილი...
1 „ 15 ...
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2500,000 მან.
1 „ 2500,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 554 პარასკევი, აგვისტოს 24 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის

## სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

## სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ **სათათბირო** ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. **სამაზრკომი.**

საქ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის

## შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით

კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის

## შორაპნის სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.

**შორაპნის სამაზრკომი.**

## კოოპერაცია სოფლად

სოფლად მომხმარებელ კოოპერატივთა რიცხვი არ არის საკმარისი მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რამდენიმე სოფელში ერთი კოოპერატივის არსებობა თავის მიზანს ვერ მიაღწევს. კოოპერატივთა ქსელის სივიწროვე ბორკავს ცენტრალური კავშირების მუშაობას. ეს კავშირები მაშინ შესძლებენ თავის დანიშნულების შესრულებას, როდესაც დაიპყრობენ სოფლის მაზრებს, განდევნიან იქედან ჩარჩულ ელემენტებს და სოფლის მეურნებს მიაწოდებენ საჭირო პროდუქტებს ვაჭრის შუამავლობის გარეშე.

აგრეთვე ყურადღების ღირსია სასოფლო სამეურნეო კოოპერატივთა საკითხი. აგრარულმა რევოლიუციამ გლეხს მისცა მიწა, გლეხი პატრონი გახადა თავისი შრომის ნაყოფის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ გლეხს უნდა შეუნარჩუნოს თავის შრომის პროდუქტი, ძველი მიწისმფლობელის წილი არ უნდა იქნეს წაგლეჯილი ჩარჩისაგან, ვაჭარი არ უნდა მოევლინოს გლეხს ძველი თავადის როლში. ამას მხოლოდ გლეხთა ასოციაციები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები და კომუნები შესძლებენ.

გლეხის მტერთა შორის ყველაზედ დიდი მტერია მისი უცოდინარეობა, მისი აზრი ინდივიდუარი წარმოების უპირატესობის შესახებ. ურთიერთ დახმარება, საერთო შრომით დამუშავება, კოლექტიური წარმოება, შრომის დანაწილება, რამდენათაც ამის შესაძლეობას იძლევა სასოფლო მეურნეობა, უეჭველად წინ წასწევს ჩვენი გლეხის ეკონომიურ ცხოვრებას, შექმნის პირობებს მისი კულტურულ-პოლიტიკური ამაღლებისათვის. ამ მხრივაც, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის შეგნებისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დიდათ გამოსადეგია.

კოოპერაცია იქაც ძლიერი ორგანიზაციაა, სადაც კაპიტალი ბატონობს. შეგნებამ კოოპერაციის დიდი მნიშვნელობისა, მასში ჩააბა მშრომელთა ფართო წრეები, რამაც გიგანტიური განვითარება მისცა კოოპერაციებს.

კოოპერატივები იქცა არა მარტო ეკონომიურ ორგანიზაციათ, ეკონომიური მიზნის მისაღწევ დაწესებულებად, არამედ კოოპერაცია კულტურული მუშაობის სფეროშიაც დიდ შედეგებს აღწევს. სკოლები, სახალხო სახლები, სამკითხველონი, ლექციების მოწყობა, წიგნის გამომცემლობა, პერიოდიული ჟურნალ-გაზეთის გამოცემა და სხვა, შეიქნა კოოპერაციის საქმედ ევროპის ქვეყნებში. ბით უფრო შესაძლებელია კოოპერაციის განვითარება ჩვენში, სადაც სახელმწიფოებრივი მმართველობის ქვეშ სდგას იგი, სადაც კაპიტალის ბატონობას ფრთები შეკვეცილი აქვს, სადაც კაპიტალიზმის ხელში მოქცეული არ არის ქვეყნის წარმოება.

ვიმეორებთ კოოპერაციის საკითხს სოფლად გენერალური ყურადღება უნდა მიექცეს.

— გერმანიის ახალი მთავრობის წინააღმდეგ მარჯვნიდანაც (მსიმე ინდუსტრია) დაიწყო ოპოზიცია.

— გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარის—ლებეს აზრით, გერმანიაში მოსალოდნელია რევოლიუცია.

— რუსეთის ვალიუტა ყველაზე მტკიცეა ევროპაში.

— რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება დროებით შესწყდა.

— ამერიკიდან იგზავნება რუსეთში ნახევრად ოფიც. დელეგაცია, რომ გამოარკვიოს შესაძლებლობა დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის განახლებისა.

— პუანკარეს პასუხი გადაეცა პარიზში ინგლისის რწმუნებულს, რომელმაც ჰაეროპლანით გადაგზავნა ლონდონში.

— პუანკარეს გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს თავის პოლიტიკა.

— ინგლისის ბანკმა თეირანში მოქმედება შეაჩერა ნიშნად პროტესტისა.

— სისხლის ღვრა მაინცში.

— მღელვარება აფრიკაში.

## ჩინეთი

**მოსკოვი.** 22 აგვისტო. გაზ. „იზვესტია“-ს მოწინავე წერილში „რუსეთ ჩინეთის მოლაპარაკების მოლოდინში“, ამხ. ვილენსკი სწერს: „იაპონიამ დაჰკარგა სიმშვიდე რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების განახლების გამო. სარგებლობს რა სამოქალაქო ომით, იაპონია გამოდის ინტერვენციის ინიციატორის როლში ...

... გავლენა მანჯურიაში. პეკინში მყოფმა იაპონიის ელჩმა წინადადება მისცა თავის მთავრობას უარი სთქვას ჩინეთის დღევანდელ მთავრობის ცნობაზე, რათა ხელი შეუშალოს საბჭოთა რუსეთთან ჩინეთის დაახლოვებას. იაპონიის გამოსვლა უშედეგოთ დამთავრდა. როდესაც საბჭოთა რუსეთი გავიდა წყნარ-ოკეანეს ნაპირებზე და გადაიქცა დიდ საერთაშორისო ძალათ შორეულ აღმოსავლეთში, —ჩჟან-ძო-ლინმა ეს მიიღო მხედველობაში.

ჩჟან-ძო-ლინის წარმომადგენლები მიესალმენ საბჭოთა რუსეთს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ეს მოასწავებს ჩჟან-ძო-ლინის დამოკიდებულების გამოცვლას საბჭოთა რუსეთის და იაპონიისადმი. საბჭოთა რუსეთი აფასებს ჩინეთის სამ პროვინციის ამ მისალმებას და ამაში ხედავს იგი რუსეთსა და ჩინეთს შორის 'კეთილ-მეგობრულ განწყობილების საწინდარს. განსაკუთრებით ამას აქვს მნიშვნელობა კარახანის მისიისა და ჩინეთ-რუსეთის მოლაპარაკების განახლებისათვის.

მაინც საჭიროა ყურადღება მიექცეს მანჯურიის ადმინისტრაციის მოქმედებას, რომელიც ეხება აღმოსავლეთ ჩინეთის ინტერესების და უფლებათა დარღვევას. ეს არის იაპონიის გავლენის ნაშთი.

საბჭოთა რუსეთის მშრომელებზე მანჯურიის ადმინისტრაციის ასეთმა მოქმედებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიმედოვნებთ, რომ მანჯურიის ადმინისტრაცია არ გაართულებს, რაც არა სასურველ გავლენას იქონიებს რუსეთ ჩინეთის მოლაპარაკებაზე რუსეთის და ჩინეთის რესპუბლიკის მეგობრობა არის საწინდარი აღმოსავლეთ აზიაში ჭეშმარიტი მშვიდობიანობის დამყარებისა“.

## რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

### გერმანიის ამბები.

#### მდგომარეობა კვლავ რთულდება.

**ბერლინი.** 20 აგვისტო. თუმცა შტრეზემანის კაბინეტი არსებობს ჯერ მხოლოდ ერთი კვირა, მთავრობის პრესა უკვე ილაშქრებს ზოგიერთ სამრეწველო წრეების წინააღმდეგ ახალ მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიურ გაჯანსაღებისათვის მიღებულ ზომებისადმი მათი წინააღმდეგობის გამო.

მძიმე ინდუსტრია, რომელიც მოწინააღმდეგეა შტრეზემანის, როგორც მსუბუქ ინდუსტრიის წარმომადგენელის, კვლავ იწყებს ბრძოლას ქაღალდის ფულის გამოშვების შემცირების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნახშირის წარმოებების მეპატრონეთა მიერ ნახშირზე ფასების არაჩვეულებრივათ აწევა იწვევს ყველა საქონლის გაძვირებას და ხმარებაში მყოფ ფულის ნიშნების რაოდენობის ზრდას. საზოგადოებრივი აზრი ამას სთვლის მთავრობის განზრახვების შეგნებულ საბოტაჟათ.

დამახასიათებელია ბერლინის მაგისტრატის სამინისტროებისადმი მიმართული დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია თხოვნა ხელი შეუშალონ ნახშირის ფასის 200 პროცენტით გადიდებას 63 პროცენტის მაგიერ. „თუ ეს გადიდება განხორციელდება,—ამბობს მაგისტრატი,—მოსახლეობა ვერ შესძლებს კომუნალურ დახმარების ანაზღაურებას, რადგან არსებული ფასებიც დიდ მღელვარებას იწვევს მოსახლეობის წრეებში“ სხდომებსა და კომისიებში ეძებენ ხსნას.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ მინისტრთა საბჭოს სხდომას, რომელიც უნდა შესდგეს 20 აგვისტოს ებერტის თავმჯდომარეობით, რადგან მოელიან, რომ ამ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნება ეკონომიურ და საფინანსო პოლიტიკის მრავალი საკითხი. გარჩეულ იქნება აგრეთვე საკითხი რეიხსბანკის დირექტორების გავენშტეინისა და გლასხენაპეს შესახებ, ვინაიდან ამ პირთა გადადგომას დაგვიანება ზიანს აყენებს სოციალ დემოკრატიის პრესტიჟს.

**ბერლინი.** 20 აგვისტო. რეიხსბანკის დირექტორის გავენშტეინის ცნობით, ყოველდღიურათ იბეჭდება 46 ტრილიონი ფულის ნიშანი. 20 აგვისტოს დოლარი 5.500.000 მარკას ფასობდა.

**ბერლინი.** 20 აგვისტო. რეიხსკანცლერის სასახლეზე ბოროტ-გამზრახველების თავდასხმის გამო, ბერლინში ხმა გავრცელდა, შტრეზემანის მოკვლა უნდოდათო. რეიხსკანცლერს მიყენებული ჰყავს გაძლიერებული მცველები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ კომუნისტთა და სახალხო პარტიის გაზეთები სასტიკ კამპანიას ეწევიან შტრეზემანის წინააღმდეგ.

**კოპენჰაგენი.** 20 აგვისტო. დანიის გაზეთ „პოლიტიკენი“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებემ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია შტრეზემანის პოლიტიკისა. ლებეს აზრით, ახლო მომავალში გერმანიაში იფეთქებს რევოლიუცია, რომელსაც შედეგათ მოჰყვება გერმანიის დაქუცმაცება.

**ბერლინი.** 22 აგვისტო. ბერლინში პრეზიდენტ ებერტის თავმჯდომარეობის ქვეშ შესდგა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იყო გერმანიის საფინანსო და ეკონომიური მდგომარეობა. თათბირმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ საჭიროა უცხოეთის ბირჟებზე გამონახულ იქნეს სალსარა საზღვარგარეთ სურსათ სანოვაგის შესასყიდათ, რისთვისაც საჭიროა 200-დან 500 მარკამდე ოქროთი. დადგენილია აგრეთვე ხარჯების მაქსიმალურ ეკონომიის განხორციელება. პარტიების ლიდერებთან გამომუშავებულ ზომების შესახებ მოქმედების შეთანხმების შემდეგ, კაბინეტი დაუყოვნებლივ დაიწყებს მიღებულ დადგენილების განხორციელებას.

**პარიზი.** 22 აგვისტო. ოფიციოზების ცნობით, შტრეზემანი აპირებს გამოსვლას რეიხსტაგში ახალი დეკლარაციით.

### ს. ს. რ. პ. ცნობის გარეშემო

**ნიუ იორკი.** 20 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფოლმა განაცხადა, რომ რუსეთის ვალიუტა ყველაზე მტკიცეა ევროპაშიო. ფოლის აზრით, ლატვია. ლიტვა და ესტონეთი ორი წლის შემდეგ აღძრავენ შუამდგომლობას მათი რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

### საბჭოთა კავშირი და სპარსეთი.

**თეირანი.** 20 აგვისტო. საზოგადოებრივ სამუშაოების სამინისტროსთან დაარსდა კომერციული ინფორმაციის ბიურო, რადგანაც მოსალოდნელია ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და სპარსეთს შორის.

**ტირასპოლი.** 20 აგვისტო რუსეთ-რუმინეთის მოლაპარიკება დროებით შესწყდა. ოფიციალურ ცნობის თანახმად, რუმინეთის მთავრობა მოელის საბჭოთა მთავრობის თანხმობას მოლაპარიკების განახლებაზე იმ დელეგაციასთან, რომელსაც აქვს მინიჭებული სათანადო რწმუნება. ოპოზიციონერი პრესა ბრალს სდებს მთავრობას მოლაპარაკების გაჭიანურებაში.

**სტოკჰოლმი.** 20 აგვისტო. გაზ. „დაგენს ნიუხეტერი“ იტყობინება რუსეთში ნახევრად-ოფიციალურ ამერიკელ დელეგაციის მოსალოდნელ გამგზა-

სახეპ ამერიკის უმაღლესი წრეები თანაგრძნობით უცქერიან დელეგაციის გამგზავრებას და საჭიროთ სთვლიან მიეცეს რუსეთს ნისიად სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რათა ხელი შეუშალონ რუსეთს ხორბლის იაფად გაყიდვას საზღვარგარეთ და რუსეთის დაახლოვებას გერმანიასთან.

**რომი.** 20 აგვისტო. „ჯორნალე დ'იტალია", რომელიც აქნამდე წინააღმდეგ იყო განწყობილი რუსეთის მიმართ, საჭიროთ სთვლის რუსეთსა და ევროპას შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას და კმაყოფილებით აღნიშნავს სასამართლოს დადგენილებას რუსეთის საქონლის დაჭერის დაუშვებლობის შესახებ. ტურინის გაზეთ „სტამპში" დაბეჭდილია აღფრთოვანებული წერილი მოსკოვის გამოფენის შესახებ.

**ბერლინი.** 20 აგვისტო. სტატსსეკრეტარის ფონ მალცენის თანადასწრებით გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო კვირას რუსეთის ელჩი კრესტინსკი, რომელმაც რწმუნების ბარათი გადასცა ებერტს. ებერტი მიესალმა კრესტინსკის და გამოსთქვა სურვილი, რათა ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციამ კიდევ უფრო განამტკიცოს ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორის.

**მოსკოვი.** 21 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში ფინეთის ბურჟუაზიის პრესა აწარმოებს ცილისწამების კამპანიას ფინეთში მყოფ ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის წინააღმდეგ, რათა სახელი გაუტეხოს რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სრულუფლებიან წარმომადგენლის პირველ მდივანს ამხ. ზალკინდს, რომელიც ასრულებს ფინეთში ს. ს. რ. კა-ის რწმუნებულის მოვალეობას. გაზეთი „გივუდი" იტყობინება, რომ ამ კამპანიის გამო ამხ. ზალკინდმა აღძრა შუამდგომლობა თავის გამოწვევის შესახებ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პრესის განყოფილება კატეგორიულად უარყოფს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამ დღეებში გამოუცხადა ფინეთის წარმომადგენელს ხაკ'ელს პროტესტი ფინეთის პრესის ყალბი ინსინუაციების წინააღმდეგ.

**საფრანგეთის ნოტის გადაცემა.**

**ლონდონი.** 22 აგვისტო. გუშინ პარიზში ინგლისის რწმუნებულს გადაეცა საფრანგეთის ნოტა, რომელიც იმწამსვე დიპლომატიური კურიერის საშუალებით გაგზავნილ იქნა ლონდონში. ნოტის ასლი გაეგზავნა კერზონს, რომელიც ამ ჟამათ შვებულებაშია და პროვინციაში იმყოფება. თუმცა ინგლისის კაბინეტის სხდომა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ლონდონში მაინც ფიქრობენ, რომ ნოტა სასწრაფოდ იქნება განხილული კაბინეტის მიერ ბალდვინის თავმჯდომარეობით.

**ბერლინი.** 21 აგვისტო. ევროპიდან დაბრუნებულმა ამერიკელმა სენატორმა ბუშმა პრეზიდენტ კულიჯთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინტერესებული ქვეყნები გაიგებენ, რომ ამ საკითხს საფუძვლათ უნდა დაედვას ეკონომიური, და არა პოლიტიკური პრინციპები. ბუშის აზრით, ამ ჟამათ მაინც არის იმდი, რომ საკონტრიბუციო საკითხი ჩქარა იქნება გადაწყვეტილი, მაგრამ კონტრიბუციის დასაფარავი ფულების აღება ბოლოს და ბოლოს ამერიკისაგან მოუხდებათ მაინც.

**ბერლინი.** 22 აგვისტო. სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობის ამერიკის დელეგაციის მოხსენებაში, რომელიც საფრანგეთის მთავრობას წარედგინა, ნათქვამია, რომ თუ გაუქმებული იქნება რურის ოკუპაცია, მაშინ გერმანიას საშუალება ექნება ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანოს თავისი მრეწველობა. როგორც მოხსენებაში ნაჩვენებია, საფრანგეთი დიდის სიძნელით იღებს რურიდან ერთს მესამედს იმ ნახშირისა და კოქსისა, რომელიც მას შეეძლო მიეღო კონტრიბუციის ანგარიშში ნორმალურ პირობებში, ე. ი. ოკუპაციის მოუხდენლათ. იმის მტკიცება, რომ საფრანგეთს გერმანიის ფლაროების მუშების დაუხმარებლათ შეუძლია რურში ნახშირისა და კოქსის ამოღება, მოხსენების ავტორის აზრით, ფანტასტიურია.

**პარიზი.** 20 აგვისტო. შარლევილში წარმოთქმულ სიტყვის დროს, პუანკარემ, შეეხო რა საფრანგეთის პასუხს სარეპარაციო საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ დანაშაულად მიაჩნია ყოველი ცდა, ანტანტის დაშლისაკენ მიმართული. პუანკარე უარჰყოფს მტკიცებას, ვითომც ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებისათვის ზიანი მოჰქონდეს რურის ოკუპაციას. პუანკარემ განაცხადა: საფრანგეთს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს თავისი პოლიტიკა, რომელიც მისი ქვეყნის სურვილებს შეეფერება.

**ვენა.** 20 აგვისტო. გერმანიის სარეპარაციო ნახშირის მოწოდების შეწყვეტის გამო, სამხრეთ-სლავიის კაბინეტმა გადასწყვიტა გამოვიდეს რუმინიასთან და საბერძნეთთან ერთად გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ.

**ვენა.** 20 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გერმანიის მიერ უარის თქმა იმ სახელმწიფოებისათვის სატურით მიწოდებაზე, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა რურის ოკუპაციაში, წარმოადგენს საზავო ხელშეკრულებათა დარღვევას და ზიანს აყენებს სამხრეთ სლავიის სასიცოცხლო ინტერესებს. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიმართა სარეპარაციო კომისიას პროტესტით გერმანიის მიერ ნატურით მიწოდების შეწყვეტის წინააღმდეგ.

**პარიზი.** 19 აგვისტო. პუანკარემ ბელგიის მთავრობას გადასცა პასუხი ინგლისის ნოტაზე. პასუხში ნათქვამია: უკეთუ გერმანია შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას, მაშინ საფრანგეთი შეამცირებს რურის ოლქში საოკუპაციო ჯარების რიცხვს, დასტურს მისცემს საოკუპაციო ოლქებისა და გერმანიის დანარჩენ ოლქების შუა თავისუფალ მიმოსვლისას, სამსახურში დააბრუნებს დათხოვნილ რკინისგზელებს და მხოლოდ საფრანგეთის ინჟინერთა კონტროლით დაკმაყოფილდება გერმანიის რკინის გზებზე.

**ბერლინი.** 12 აგვისტო. ლონდონში აეროპლანით გაგზავნილი საფრანგეთის ნოტა განხილულ იქნება დღეს, ინგლისის კაბინეტის სხდომაზე.

**პარიზი.** 22 აგვისტო. ბელგიის საპასუხო ნოტა ამ დღეებში გადაეცემა ინგლისის მთავრობას.

**პარიზი.** 22 აგვისტო. გაზ. „ტანის" ცნობით, საფრანგეთის საპასუხო ნოტაში ჩამოთვლილია ის მიზეზები, რომელიც ამართლებს საფრანგეთის პოლიტიკას საკონტრიბუციო საკითხში. შემდეგ გაბათილებულია ინგლისის ნოტის არგუმენტაცია საფრანგეთისათვის ოკუპაციის უფლების მინიჭების გამო, დაბოლოს პუანკარე მოაგონებს, რომ თავის დროზე მან მიუთითა საშუალებებზე, რომლითაც ორივე მთავრობისათვის მისაღებად გადასწყდებოდა გერმანიის კონტრიბუციასთან დაკავშირებული საკითხები.

**პარიზი.** 22 აგვისტო. ბელგიის პრესის ცნობით, ბელგიის საპასუხო ნოტაში გაბათილებული იქნება ინგლისის მთავრობის შენიშვნები ბელგიისათვის პრიორიტეტის უფლების (უპირატესობის) მინიჭების შესახებ, იმიტომ, რომ ბელგია მოითხოვს მხოლოდ მისთვის საჭირო თანხას ქვეყნის აღსადგენად, რომელიც სრულებით განადგურდა გერმანიის ოკუპაციის 4 წლის განმავლობაში.

# საბჭოთა კავშირში.

## რ უ ს ე თ ი.

**ამერიკელ სენატორების მოგზაურობა.**

**ყაზანი.** 21 აგვისტო. ყაზანში ჩასულმა ამერიკელმა სენატორმა კინგმა, ლაიდმა და ფრიარმა ინახულეს მთელი რიგი დაწესებულებათა და ფაბრიკებისა. იმოგზაურეს აგრეთვე სოფლებში. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ერთმა სენატორმა განაცხადა, რომ მის მიერ ნახულმა სურათმა ორგანიზაციის ახალი პრინციპებით გადააჭარბა ამერიკელების მოლოდინს.

**შორეულ აღმოსავლეთის განწმენდა ბანდებისაგან.**

**ჩიტა.** 21 აგვისტო. ჩუმუყის მიდამოების ჩვენმა ჯარებმა სრულებით გასწმინდეს თეთრგვარდიელ ბანდებისაგან. ტყვედ წამოიყვანეს 20 ოფიცერი. ჩვენს ჯარს დიდი დახმარება გაუწიეს ტუნგუზებმა. თეთრგვარდიელებს სურსათს აწოდებდა იაპონია და მანჯურიასთან ჰქონდათ კავშირი.

**მხატვარი რეპინი.**

**პეტროგრადი.** 21 აგვისტო. აკადემიკოს ბეხტერიონმა გერმანიიდან დაბრუნებისას ინახულა ფინეთში რეპინი. მიუხედავათ მოხუცებულობისა, რეპინი ძალიან კარგათ გრძნობს თავს და ათავებს დიდ სურათს „გოლგოთას".

**ნავთის ამოღება სახალინზე.**

**ჩიტა.** 21 აგვისტო. იაპონელები ენერგიულათ ამუშავებენ ჩრდილოეთ სახალინის ნავთის წყაროებს. მუშაობა ჯარის დაცვის ქვეშ მიმდინარეობს. ამოღებული ნავთი—მ[illegible] ...ტრესტებისათვის.

# უცხოეთი

## ი ა პ ო ნ ი ა.

**ტოკიო.** 20 აგვისტო. ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულების რატიფიკაცია გაცვლა-გამოცვლამ პრესის ერთ ნაწილში დიდი აღტაცება გამოიწვია. მეორე ნაწილში კი დიდი გულისწყრომა. იაპონიის გაზეთები სწერენ, რომ ამერიკის მიერ თავდაცვის გასაძლიერებლად გადადებული 110 მილიონ დოლარში მოქცეულია ასიგნობა შეტევის სამზადისისათვის, რაც უფრო სახიფათოა იაპონიისათვის ვიდრე ინგლისის პროექტი სინგაპურში ბაზის გაფართოებისა.

## ა ფ რ ი კ ა

**პარიზი** 22 აგვისტო. ესპანეთის სამხედრო წრეებს დიდი გაცხოველება ემჩნევა. მელილაში გაიგზავნა რამოდენიმე სამხედრო ნაწილი. დანარჩენი სამხედრო ნაწილები ემზადებიან გასამგზავრებლად ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ მელილაში ალყა შემორტყმულ ესპანელთა გარნიზონის საშველათ. ფლოტმა დემონსტრაცია მოაწყო ალხუსემასის წინააღმდეგ. მზვერავთა ცნობით ადგილობრივ მცხოვრებლების რაზმები იზრდება.

## პოლონეთი

**ვარშავა.** 29 აგვისტო. ვარშავაში უკრაინელ თეთრგვარდიელების ყრილობაზე პრეზიდიუმში არჩეული არიან გენერლები სალსკი, ბეზრუჩკო და პოლკოვნიკი ლევჩენკო.

ყრილობას მიესალმა საქართველოს კომიტეტის დელეგაცია პოლონეთში.

ყრილობამ ფეხზე ადგომით მოისმინა პეტლიურას დეპეშა.

## გერმანია

**პარიზი.** 22 აგვისტო, მაინცში მუშები სცდილობდენ ადგილობრივ თვითმართველობის დაკავებას. ჩაერია პოლიცია, რასაც შედეგად მოჰყვა 12 კაცის დაჭრა.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** 20 აგვისტო. ანტი-ბრიტანულ გამოსვლების გაგრძელების გამო, ინგლისის ბანკმა თეირანში პროტესტის ნიშნათ დროებით შესწყვიტა მოქმედება.

# ახალი ამბები

— **გადასახადის ვადის გაგრძელება.** აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებისათვის გადასახადის უკანასკნელი ვადა იყო: დაბლობ ადგილების 1 ოქტომბრამდე, მთა-გორიან ადგილებისათვის კი ნოემბრის 15. საქ. რესპ. საგადასახადო კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა ხსენებული ვადა გაგრძელდეს ერთი თვით.

— **ხეტყვა ახალ-ქალაქის მაზრაში.** ახალ-

# საინტერესო კამათი ეროვნულ საკითხის გარშემო

3.

**კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა.**

ჩვენ აღვნუსხეთ, რომ კაუცკიანური მარქსიზმი ძირითად განსხვავდება ლენინისტურ (რევოლიუციონურ) მარქსიზმიდან. ეს განსხვავება გამოიხატება ეროვნულ ძაკითხშიაც. ამ დარგში კომუნისტები კაუცკიანისტურ მარქსიზმის წარმომადგენლებს კრიტიკის ღირსადაც არ სთვლიან, ამათი სოციალ-ნაციონალური სისტემა, პატრიოტიზმი და ბურგფრიდენის სისტემა (მიულერი, კაუცკი, კუნო და სხვა.) დიდი ხანია რაც წამოაგეს იმპერიალისტურ ანკესზე.

კიდევ მეტი, თვით მემარცხენე მარქსისტების (როზა ლიუქსენბურგის მეთაურობით) ეროვნული პოლიტიკა (ნიჰილისტური) დაგმეს, უარყვეს. მე-XII ყრილობის შემდეგ ჟურნალ („Власть советь"-ში) ბუხარინი სწერს: „ჩვენი (კომუნისტების) პარტია დიდი ხანია დარწმუნდა, რომ სქემატიური და უსიცოცხლო—დოგმატიური დაყენება ეროვნული საკითხისა რადიკალურ მარქსიზმის თვით საუკეთესო წარმომადგენლებისა იმსხვრევა, როგორც კი ცხოვრებას ეხება". გ. საფაროვი უფრო შორს მიდის და კომპარტიის ეხლანდელ ეროვნულ პოლიტიკას უფრო ძველ დროს უკავშირებს. ის სწერს: „მენშევიკების და პოლონელ სოც.-დემოკრატების საწინააღმდეგოდ ეროვნულ საკითხში ლენინის სკოლა ამტკიცებდა, რომ, ეს (ეროვნული) უფლება არის „უფლება გამოყოფის და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნის" და რომ პარტიამ აუცილებლად უნდა დაიცვას ეს უფლება (ც. კ. თათბირი 1913 წ. იხ. საფაროვის „ბოლშევიზმის ტაქტიკა"). ანალოგიური დადგენილება გამოიტანა ბოლშევიკების პარტიულმა თათბირმა 1917 წლის აპრილში, რაიცა შემდეგ (1917 წელშივე) გამოცხადებულ იქნა დეკლარაციაში.

თანახმად დეკლარაციისა ეროვნულ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება იწყება საბჭოთა მესამე ყრილობიდან (1918 წ. იანვარი). დეკლარაციით—ერონებას უნდა მისცემოდა უფლებათა მაქსიმუმი *), მაგრამ პრაქტიკულად რუსეთში სალი ეროვნულ პოლიტიკის გატარებას უამრავი პირობა უშლიდა ხელს. თვითმპყრობელობის მთელი მუშაობა ეროვნულ მდგომარეობის გართულებაა რუსეთში ეროვნულად მთლიან ქვეყნების აჭრელება, ახალი გასარუსებელ ობიექტების შექმნამ მეტად გამწვავა მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლება კი დადგა სწორედ მახინჯი ფაქტების წინაშე და ნაბიჯები გადასდგა თანახმად შექმნილი მდგომარეობისა. აქედან გამომდინარეობდა ორი მთავარი ეტაპი, ორი მომენტი ეროვნულ საკითხში: 1. სრული დამოუკიდებლობის მინიჭება ისეთი ერებისათვის, რომლებმაც კი მოახერხეს თვითმპყრობელობის დროს ეროვნული სახის შერჩენა, ხოლო 2. განსაკუთრებული მზრუნველობა და უფლებათა მიცემა მათთვის, რომელნიც ერთგვარ ნაციონალ ოაზისების შეიცავდნენ. აქედან დაიბადა სეპარატიულ და ავტონომიურ რესპუბლიკების იდეა. ბოლშევიკური მართველობის პირველი ხანა სწორედ ამ უფლებრივ რეკონსტრუქციას შეიცავს, რამაც ძირფესვიანად შესცვალა ძველი რუსეთის პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული რუკა.

პირველი სარეკონსტრუქციო პერიოდი რუსეთში წამოყენებული ეროვნული პოლიტიკისა ჯერ კიდევ გაუშუქებელია რუსულსა და ქართულს მწერლობაში. ისტორია ამ პერიოდს საკმაო ადგილს დაუთმობს და შესანიშნავად აღნუსხავს. ჩვენ ჯერ კიდევ გადაჭარბებით ვართ გახვეული ნაციონალისტურ გრძნობებში და უკმაყოფილებითი ემოციები გვიფარავენ თვალსაჩინო ისტორიულ ამბების გათვალისწინებას და სათანადო შეფასებას.

ეროვნულს დარგში კომუნისტებმა შესძლეს „ერთიან-განუყოფელ" რუსეთის მცნების და სტრუქტურის დასამარება. ჩვენ არ ვეკუთვნით ახალგაზდა მოღვაწეთა იმ რიგს, რომელთაც გარეგნული ეფექტები საშუალებას ართმევენ ისტორიის ძირითად მოვლენების შეუთვისებლობას, მაგრამ არც იმ მოღვაწეთ ვეკუთვნით, რომელნიც ცხოვრების საორგანიზაციო ჩარჩოებს მნიშვნელობას უკარგავენ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსული ნაციონალისტური მოძრაობა, საუკუნეთა განმავლობაში აღზრდილი პეტრე დიდის და ალექსანდრე მესამეს მიერ შეუძლებელია ერთის ხელის დაკვრით აღმოიფხვრას, მაგრამ ჩვენ გვწამს და ამის სათანადო ფაქტებიც მოგვეპოება, რომ საბჭოთა ხელი-[illegible] ისტორიაში, რომელსაც კი ისტორია იცნობს, რომელმაც შესძლო არაჩვეულებრივი რევოლიუციონური ნაბიჯის გადადგმა რუსეთის ერთა ოჯახში, მიანგრ-მოანგრია ძველებური ნაციონალური ურთიერთობანი და საფუძველი ჩაუყარა ახალ ნაციონალურ ურთი-ერთობას.

დეე ჩვენთან ერთად მიუდგომელმა მკითხველმა გადახედოს რუსეთის რევოლიუციის მახლობელ წარსულს, მასში მომქმედ პარტიებს, ამათ თეორიებს, პროგრამას, მოღვაწეობას—კადეტებს, ოქტომბრისტებს, მენშევიკებს, ე'ერებს და სხ.—რა გააკეთეს მათ, რა ნაბიჯი გადადგეს ეროვნულ საკითხში? ყველამ იცის, რომ ამ დარგში მათ ვერავითარი ახალი სიტყვა ვერა სთქვეს, ხოლო ცხოვრებაში მათ არავითარი, უბრალო ფორმალური და და საორგანიზაციო ცვლილება არ შეუტანიათ. ყველა ხსენებულმა პარტიამ „ერთიანი და განუყოფელი" რუსეთი შეინახეს მთელი ძველის-ძველი ფორმით და შინაარსით. მათ არც კი შეეცადეს კისერი მოეგრიხათ ძველი რუქისა და ეროვნული განწყობილებისათვის.

რას წარმოადგენს გარეგნულად, ფორმალურად თანამედროვე კომუნისტური რუსეთი?

თანამედროვე რუსეთი წარმოადგენს დიდ საკავშირო რესპუბლიკას, რომელშიაც შედის ველიკორუსეთი, უკრაინა, ბელორუსეთი და ამიერ-კავკასია (ადერბეიჯანი, საქართველო და სომხეთი). მაგრამ აქ ჩვენ საილიუსტრაციოთ გვაინტერესებს თვით შიდა რუსეთის ნაციონალური ცხოვრება. სწორედ აქ უნდა გამოიხატოს რუსეთის ვინაობა და საკუთარ ოჯახში გვიჩვენოს ტიპი საგარეო მუშაობისათვის.

შიდა რუსეთი წარმოადგენს შემდეგ სურათს. ეროვნულ თვითმოქმედების გაძლიერების მიზნით დაჩაგრულ ერებს მინიჭებული აქვთ კულტურულ-ტერიტორიალური ავტონომიური უფლებები. ასეთია მაგალითად ვოლგა-ურალის გასწვრივ შედგენილი თათართა რესპუბლიკა, ავტონომიები: ბაშკირთა, ჩუვაშების, კალმიკების, კარელის, ვოტიაკების, კომის, ყირგიზების, თურქესტანის, მთიელთა, დაღესტნის, ყაბარდოს, ჩერქეზების, ყირიმის, ბურიატების, იაკუტების და სხვების.

ხსენებულ ეროვნულ ჯგუფების ისტორიაში უმაგალითოა ჯერ მხოლოდ ის, რომ მთელ უკანასკნელ 50—100 წლის განმავლობაში მათ სამშობლო ადგილებს დარქმეოდა ნაციონალური სახელი და მართველობაში ავტონომიური უფლებები მიეღოთ. საბჭოთა ხელისუფლების გაუსწორებელი მტერი რასაკვირველია ასეთ ავტონომიების შექმნაში მხოლოდ იეზუიტურ კომუნისტურ პოლიტიკას დაინახავს, მაგრამ ჩვენ ასეთი ჯურის მკითხველს ვერაფერს დავარწმუნებთ. მას საბჭოთა მარგალიტი ხელში რომ ჩაუვარდეს ცეცხლმოკიდებული ნახშირი ეგონება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს მოსდევს ადგილობრივი ხალხის მართველობასა და კულტურაში გამოყენება და იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკებმა პირველად მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს დაინახა მშობლიური ან-ბანი, მშობლიური სტამბა, მშობლიური თეატრი, გაზეთი და სხვ. თქვენ დარწმუნდებით იმ სადღესასწაულო გრძნობებში, რომლითაც იგი გამსჭვალული იქნება საბჭოთა წყობილების სასარგებლოდ, რომელმაც მას მოუტანა მიწა, თავისუფლება და სამშობლო.

ჩვენ, ქართველები, რომელნიც მაღალი კულტურის შვილი ვართ და ამ ჟამათაც საკმაოდ მოგვეპოება ქართული შრიფტი, სტამბები, გაზეთები, თეატრი და სხვ. მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ ჩვენი კულტურის ეს ფაქტორები გავაღვიოთ, განვავითაროთ, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ ჩუვაშები, რომლებმაც პირველად საბჭოთა ხელისუფლების დროს დაინახეს პირველი მშობლიური, ჩუვაშური თეატრი იცით რა დღესასწაული იქნებოდა ეს ჩუვაშებისათვის? ჩუვაშებს არ მოეპოებოდათ ჩუვაშური თეატრი, ჩუვაშური გაზეთი, ჩუვაშური მუზეუმი, ჩუვაშური კონსერვატორია. დღეს 800 ათასიან ხალხს აქვს ყოველივე ეს საკუთარ ენაზე, თავის ხელში, თავისი მიზნებისათვის. მე არ შემიძლიან აქ მოვყვე ანალოგიურ ისტორიას ყალმიკების, ვოტიაკების, ბურიატების და სხვა ცხოვრებიდან. დავასკვნი მხოლოდ: ეროვნულ ნიადაგზე დედა-რუსეთის განწესებამ, განრიგებამ შექმნა პირობები დაჩაგრულ ერების ეროვნული კულტურის განვითარებისა, ე. ი. ნაციონალური პოლიტიკის აღდგენისა, გამქრალ სალი კულტურული გრძნობების გაღვივებისა და ერების ასპარეზზე გამოყვანისა. ასე დაიწყო და ვითარდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს პატარა ერების ეროვნება. სულ უკანასკნელი ხანა ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებო და შესანიშნავია.

*თედო ღლონტი.*

*) ძალიან ურჩევდი ამ საკითხით დაინტერესებულ ამხანაგებს გაეცნოს მაგეროვსკის ვრცელ წერილს Союз советских соц. республик", იხ. ჟურნალი „Советское права" № 4, აქ უფლებრივ თვალსაზრისით დიდი მასალაა გადმოცემული ხსენებული საკითხის შესასწავლად.

ქალაქის მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა, დააზიანა 953 ქცევა ნათესი. ზარალი აღწევს სამოც პროცენტს.

— **თოვლი სამხრეთ ოსეთში.** აგვისტოს შუა რიცხვებში სამხრეთ ოსეთში ჩამოთოვა, რომელმაც დააზარალა ნათესები.

— **საბაზრო ფასები მაზრებში.** საბაზრო ფასები მაზრებში, შემდეგია; ხორბლის 2200,000—2500,000 მან. ქერისა, 1,00000—1200,000 მან. სიმინდისა, 800—900 მან.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური ახალციხეში.** ახალციხეში უკვე შეუდგნენ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენებას, მდინარე ფოცხოვზე. ამ დღეებში მოელიან ნოვოროსიიდგან ასაშენებელ მასალას.

— **მდინარე თურდოსპირების გამაგრება.** კახეთში დაიწყო მუშაობა მდინარე თურდოს ნაპირების გასამაგრებლად, რომ დაცული იქნას მახლობელი სოფლები წყალდიდობისაგან.

— **ქართული ენის კურსები.** რკინის გზის კავშირის კულტგანყოფილება ხსნის ქართულ ენის კურსებს.

— **სიმინდის გადატანა საზღვარ-გარედ.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა, ცეკავშირს ნება დართო საზღვარ-გარედ 12000 ფუთის სიმინდის გატანისა.

— **მუშათა დასასვენებელი სახლები.** 1 ნოემბრიდგან შეწყვეტენ მოქმედებას მუშათა დასასვენებელი სახლები. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ბორჯომის დასასვენებელი სახლი მოქმედებს.

— **შრომის ბირჟა.** 22 აგვისტოს, შრომის ბირჟაში გამოცხადდა 406 უმუშავარი, სამუშაოზე გაგზავნილი იქნა 173.

— **მტკვარში გადავარდნა.** 21 აგვისტოს მეჩეთის ხიდიდან მტკვარში გადავარდნილა ვილაც მოქალაქე, ვინაობა გამოურკვეველია.

— **აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში.** აღმ. საქ. რევ. ტრიბუნალმა გაარჩია საქმე ვაჭარ გულამ მაჰმედ-ოღლისა, რომელსაც ბრალდებოდა ველური მოპყრობა თავის ცოლისადმი. რევტრიბუნალმა მიუსაჯა 20 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

# კულტის საწინააღმდეგო ბრძოლის გამო

კულტურის საფუძველი არა სინამდვილე არის, მდაბიურად რო ვსთქვათ, სიცრუე მეწამულის ზღვა გაიპო და ისრაელი მშრალი გზით გავიდა, მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს და წყარო გადმოსკდა, იონა წინასარმეტყველმა სამი დღე დაჰყო ვეშაპის მუცელში, იესო და დედა მისი მარიამ სულიწმინდისაგან ჩაისახნენ, საჯაროდ მკვდრად მიჩნეული იესო მკვდრეთით აღსდგა და სხვა ამისთანა მრავალი საკვირველება ანუსხული აქვს მოსიანიზმს და ქრისტიანიზმს, როგორც უტყუარი რამ, რაც მიმდევარმა უნდა დაიჯეროს, იწამოს, რაც მისთვის სარწმუნო უნდა იყვეს, როგორც ჭეშმარიტება ტყუილად კი არ უთქვამთ, საკვირველება პირმშო შვილია სარწმუნოებისაო. ამგვარად სარწმუნოებას დაუპყრია კაცის ბუნების ერთი ნაწილი—გრძნობა, რის გამოც აღარ ეკითხება კაცს, შენი გონება რას ჰფიქრობსო. უცნაურია მხოლოდ, ხუცებმა სასწაული რად უწოდეს ისეთ ფაქტს, რომელიც არსებითად სიცრუეა ასეთი რამ უნდა იყვეს არა სასწაული, არამედ სიჩქური, რაც საოცნებელია და არა საგონებელი.

ადამიანის ბუნების მეორე ნაწილი გონება თავისი მისწრაფებით წინააღმდეგია ყოველი ნაოცნებარის, არა ნამდვილისა, როგორც ჭეშმარიტების მეძიებელი. კულტი მებრძოლია, როცა იარაღი ახლავს, ძალმომრეობასაც მიჰმართავს, რომ სხვას მიაღებინოს თავისი დოგმატი. მეცნიერება კი მხოლოდ დარწმუნებულია, მაგრამ ძლევა მოსილი კულტისაგან მაინც იდევნებოდა. ისტორიას ახსოვს კარგად ინკვიზიციის ულმობეთობით თავზარ დამცემი მოქმედება, რასაც, კათოლიკობის სადიდებლად, უმსხვერპლებია არა ერთი მოციქული ჭეშმარიტებისა.

ამ გვარი მოქცევით კულტმა სახელი გაიტეხა მეცნიერი ხალხის თვალში, მაგრამ მისი გავლენა მაინც უძლეველი იყო, სანამ სწავლა-განათლების სხივი არ შეიჭრა მშრომელ მასებში, სანამ რაციონალიზმმა ფეხი არ მოიკიდა განათლებულთა შორის.

დღეს კი ევროპასა და ამერიკაში კულტი ბურჟუაზიის საფარველ ქვეშ იმყოფება, მაგრამ მშრომელი მასების გამოსაღვიძებლად მრავალ კულტურულ ღონისძიებას ჰხმარობენ თავისუფალი მოაზრენი, თუ სხვა სოციალისტური პარტიები. მაგალითად დღესასწაულებში ეკლესიების მახლობლად ჰმართვენ უსასყიდლო სპექტაკლ-კონცერტებს, თუ საჯარო ლექციებს, რომ მშრომელი ხალხი მაიზიდონ, ეკლესიის გავლენას ჩამოაშორონ. სოციალისტების ხელთ რომ ყოფილიყო ძალა-უფლება, ეგებ ეკლესიები სულ მოესპოთ, მაგრამ დღეს განათლებულ ქვეყნებში ასეთ მდგომარეობაში არის კულტის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე.

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალისტური, ჩვენშიაც შეეცადა, რომ მშრომელი მასები დაეხსნა მღვდლების და ეკლესიის გავლენისაგან, მაგრამ კულტის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას იმდენი დეფექტი აღმოაჩნდა, რომ საჭირო შეიქნა საგანგებო ბრძანების გამოცემა ხსენებული დეფექტების მოსასპობად, გარკვეული წესრიგის ჩამოსაგდებად. მაგრამ რისგანაც უნდა დაწყებულიყო ბრძოლა, ის მაინც ხელუხლებელია ჯერ. ბურჟუაზიულ პარიზში სარწმუნოებრივი პროცესია ნება დართული არ არის, ჩვენში კი ასეთი პროცესია შეიძლება გამოჩვენებადაც იქცეს, რასაც მაგალითად ადგილი ჰქონდა, როცა მანთაშევს მოასვენებდნენ, იმ მანთაშევს, რომელიც ცოლმა მოჰკლა, როგორც თავისი მოღალატე.

კულტის წინააღმდეგ ბრძოლის ზემოხსენებული მეთოდები ურიგო არ იქნება, ჩვენც შემოვიღოთ უფრო თანწყობრივად და ამასთანავე გამოვსცეთ ისეთი კანონი სავალდებულო სწავლისა, რომ ქარხნებ-ფაბრიკებში ქალ-ვაჟი არ ვამუშაოთ ჩვიდმეტ წლამდე, როგორც ამერიკაშია დაწესებული.

**პეტრე მირიანიშვილი.**

# პარტიაში

ქ. შორაპანი. ამა წლის 13 აგვისტოს დილის 10 საათზე. შორაპნის რკინისგზის მუშათა კლუბში შესდგა საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტის სხდომა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. კ. საყვარელიძე მდივნობდა ამხ. მიშა მეტრეველი.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. ჩვენი პარტიის ყოფილი წევრის შალვა გაჩეჩილაძის თავის უფლებებში აღდგენა.
1. სამაზრკომის ანგარიში.
3. სამაზრო კონფერენციის მოწვევა.
4. შორაპნის რაიკომის წევრთა კრების მოწვევა და. მიმდინარე კითხვები.

1. ამხ. გაჩეჩილაძის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: ვინაიდან შალვა გაჩეჩილაძე გაუგებრობით ყოფილა დატუსაღებული, და საქ. საგანგებო კომისიამაც შესაფერი დანაშაული ვერ აღმოაჩინა, ამიტომ ამხ. გაჩეჩილაძე იქნეს მიღებული პარტიის ნამდვილ წევრად დღეის რიცხვიდან.

2.—მოხსენება გააკეთა სამაზრო კომიტეტის მოქმედების შესახებ ამხ. მეტრეველმა, რომელმაც მოკლეთ გააცნო კრებას მაზრაში არსებულ ორგანიზაციების მდგომარეობა და აგრეთვე ახსნა სარაიონო, სათემო და სასოფლო კომიტეტის მნიშვნელობა და მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რის შემდეგაც კრებამ ერთხმად მიიღო:

1.—სამაზრო კონფერენცია იქნეს მოწვეული ამა წლის 26 აგვისტოსთვის.

3.—მიმდინარე კითხვებში გაირჩა ორი საკითხი:

ა) როგორც სამაზრკომში მიღებულ ცნობებიდან ირკვევა ჩვენი პარტიის წევრებს 1) დავით ინოზემცევს და 2) კალისტრატე ასათიანს შეუტანიათ განცხადება კომპარტიაში წევრად მიღების შესახებ.

კრება ადგენს ორივე: ინოზემცევიც და ასათიანიც გამოირიცხოს ჩვენი პარტიის წევრობიდან, რაც ეცნობოს მთავარ კომიტეტს.

**მიშა.**

—:—

**სოფ. საგარეჯო.** 12 აგვისტოს სოფ. საგარეჯოში შესდგა საქართველოს მემარცხ. ს.-ფ. ახლად დაარსებულ ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა: საწევრო გადასახადის დაწესებისა, ორგანიზაციისათვის თანხის შესაქმნელად წარმოდგენის გამართვისა, ახალი წევრებისა და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

საწევრო გადასახადი კრებამ გადასწყვიტა იყოს ყოველთვიური და განსაღვრა ერთი მილიონი მანეთით.

თანხის შესაქმნელად კრებამ დაავალა კომიტეტს ადგილობრივ თეატრში გამართოს წარმოდგენა-საღამო რამდენადაც შეიძლება ფართე პროგრამით. ამავე საღამოსთვის გადასწყდა დაბარებულ იქმნას ტფილისიდან მომხსენებელი.

ახალ წევრებად შემოსვლის მსურველი იყო 9 კაცი. მათი ვინაობის ცალ-ცალკე განხილვისა და კენჭის ყრის შემდეგ კრებამ 8 მათგანი მიიღო წევრად, ხოლო ერთს უარი უთხრა.

—:

შაბათს, აგვისტოს 27, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ კლუბში შესდგება საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიის მეოთხე რაიონის (1, 2 და 3-მე უბნის) წევრთა მორიგი საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს **ამხ. პარმენ ჭანიშვილი „პროლეტარიატი და გლეხობა“.** შემდეგ განხილული იქნება საორგანიზაციო საკითხები. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

# მე და საუკუნე

საშიშროებით აკივლდება ქვეყანა ძველი...
მელანქოლიით ატირება ღმერთებს ეყოფა,
და მე, დავითო, უსათუოდ შენგან მოველი,
რომ შენი ყოფნით გაიზრდება შენი ეპოქა.

უსაზღვროების ზვიად სახეთ გარდაიქმნები,
სიკვდილის წიგნში უკვდავებით ამოხეულო!
ბევრჯერ ამილებს სასაცილოდ ჩემი ფიქრები
მტვერის ფარაჯში, საუკუნევ, გამოხვეულო!

ვიტყვი თამამად: მე აქ ვერვინ შემედარება!
ეშაფოტივით თავს გადგია შიშის გრეხილი;
შენ ვერ გიშველის მოქანცული ზანტი მთქნარება
და ხერხემალი სიფილისით გადატეხილი...

ყურის აწევა ურჩობისთვის მე მევალება.
შენზედ არას დროს არ მექნება მე გული თბილი;
(რა საჭიროა გავიხსენო ძველი წვალება?)
გახლავარ შენთვის უსათუოდ მე სიბრძნის კბილი...

**დავით დოლიძე.**

დ. ხიდისთავი.

# მუშათა ცხოვრება.

**თელავის მუშათა კოოპერატივი.**

თელავში ყველა ტიპის კოოპერატივი შეერთდა და გადაკეთდა ერთ მთლიან მუშათა-კოოპერატივად. ამ კოოპერატივში მარტოდ-მარტო მუშა-მოსამსახურენი არიან წევრებად და კარგა ღონიერ დუქანსაც წარმოადგენს. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს შეერთება მოხდა, რომ ჩვენ მუშა-მოსამსახურეებს ხელმისაწდომ პირობებში მოგვაწვდიდა პირველ საჭირო საგნებს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

საქმით სულ სხვასა ვხედავთ. ზოგი საქონელი სხვაგან უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ამ კოოპერატივში, და ფასს ხომ ყოველ დღე უმატებენ საქონელს. ხშირად მომხდარა, რომ ბაზარში საქონელზე ფასები არ აუწევიათ და ამ კოოპერატივშიკი მოუმატებიათ, იმის მიზეზით, რომ ტფილისში ჩერვონცებმა აიწიაო. ამასთან აქ მუშა-მოსამსახურეს არავითარი შეღავათი არა აქვს და ყველაზე ერთ ფასად ჰყიდიან, არც საწევრო წიგნაკებითა სწარმოებს ვაჭრობა. მაგ. ტფილისში ასეა, რომ წევრებს ნაკლებ ეთმობათ, არა წევრებისათვის-კი სხვა ფასებია. ამას გარდა აქ ვაჭრულ ლაპარაკსაც ხშირად გაიგონებთ, თქვენი ხათრით ასე იქნება, ჩემმა მზემ ნაკლებ ხელს არ გვაძლევს, დღეს წაიღეთ, თორემ ხვალ მეტად იქნება და სხვა ასეთები, რასაც ნამდვილ კოპერატივში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

საჭიროა ყველა ამას მიექცეს ყურადღება და განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ თუ მართლა მუშათა კოოპერატივია,—რაიმე შეღავათი უნდა ჰქონდეთ მუშა-მოსამსახურეთ და თუ ისე დუქანია, სადაც ფულის მოგებას მისდევენ, ესეც საჭიროა იცოდენ მუშა წევრებმა.

**ერთი წევრთაგანი.**

# საჭიროა ყურადღება

**(წერილი ზუგდიდიდან).**

ქალაქ ზუგდიდიდან ჩრდილოეთით 25 ვერსტის მანძილზე მდებარეობს დაბა წალენჯიხა, რომელსაც შუაში გაუდის მდინარე ჭანის წყალი.

ჯერ ისევ თვითმპყრობელობის დროს წალენჯიხა, წარმოადგენდა მთელს მაზრაში ერთს საუკეთესო ცოცხალ პუნქტაგანს თვისი საზოგადო და სახელმწიფო ადმინისტრატიული, თუ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა სიმრავლით. წალენჯიხის რაიონი შეადგენდა ცალკე საბოქაულო უბანს და ყველა რაიონული დაწესებულებანი აქ იყრიდა თავს, როგორც მაგალითად: საექიმო პუნქტი, საავადმყოფო, აფთიაქი, საუბნო სასამართლო, საბოქაულო სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სავაჟო და საქალებო 2 კლასიანი სასწავლებლები და სხვა. აქვე იმართებოდა ყოველ შემოდგომას დიდი ბაზრობა 15 დღის ვადით, რომელზედაც მოდიოდენ საქართველოს ყველა ქალაქებიდან ვაჭრები თავიანთი სავაჭრო საქონლით. თვით დაბა გაშენებულია ჭანის წყლის ორთავ ნაპირებზე, მოსახლეობა მეტად მცირერიცხოვანია. უმთავრესად ამ მოსახლეობას შეადგენდენ მთავრობის მოხელენი და ვაჭრები, მაგრამ დაბის ეკონომიურ და კულტურულ ზრდას ხელს უწყობდა მის გარშემო მაღლობებზე გაშენებულ, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ და ჩრდ.-აღმოსავლეთის მხრით, მრავალრიცხოვანი მშრომელი მასსით დასახლებული სოფლები, რომელთა მცხოვრებნი ქმნიდნენ წალენჯიხისთვის დაუშრეტელ საალებმიმცემო ბაზარს. ეს მშრომელთ მასსა არა ძალდატანებით, არამედ სრულიად შეგნებულად არ სწყვეტდენ ორგანიულ კავშირს დაბის მცხოვრებლებთან, მათთან ერთობისა და კოლექტიური ცენტრის სიმკვიდის დასაცავად და ედგა მათ გვერდში ჭირსა ლხინში თანასწორ მოზიარედ, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ სახელმწიფო, თუ საზოგადო დაწესებულებათა მოგვარებაში, თვით სკოლაც კი ჰქონდა მათთან საერთო, მიუხედავად იმისა, რომ დაბაში გაშენებული სკოლა 6—7 ვერსტით იყო დაშორებული ზოგიერთი კუთხისათვის. მაშინდელი ბიუროკრატიული მთავრობაც კი ხედავდა ამ ხალხის ამგვარ დათმობას და იმითი დაუფასა იგი მათ, რომ სკოლა ააგებინა ჭანის წყლის მარცხენა მხარეს, საითაც მდებარეობს სწორედ ის ზემოთ ხსენებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობათა სოფლები და ამით ცოტათი მაინც შეუმოკლა ბავშებს სკოლამდე სავალი გზა და მათი დიდი უმრავლესობა მდინარეზე გასვლასაც ააცდინა.

სასკოლო ადგილი [illegible] ხელს; მშვენიერი მაღლობი ბორცვი შენობის დასადგმელად, გარშემო [illegible] სავარჯიშო თუ სხვა [illegible] მეტად მოხერხებული ადგილები.

ეზოს ორთავ მხარეს კლდიდან გამოჩუხჩუხებს მშვენიერი ანკარა სასმელი წყარო, რომლის ბადალი არამც თუ შიგ დაბაში, თვით მთელს რაიონში კი არ მოიპოვება.

აი ამ ადგილზე 55 წელიწადი იარსება ორმა სკოლამ საქალებო და სავაჟომ.

აქ სკოლა პირველად დაარსდა 1868 წელს.

1887 წელს გადაკეთდა 2 კლასიანად, ხოლო 1918 წელს—მაღალ დაწყებით სასწავლებლად. ამ ჟამად კი არის 8 წლიანი შრომის სკოლა.

ამ სკოლას ჰქონდა საკუთარი ხის შენობა. ეს შენობა ბოლო ხანებში იმდენად დაზიანებული იყო, რომ საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვდა. ამ მიზნით დაშალეს იგი და უნდა ხელახლა აეშენებიათ უფრო განახლებული და გადიდებული. მაგრამ აქ ბოროტმა აზრმა და განზრახვამ,—წმინდა ეგოისტური თვალსაზრისით წარმოშობილმა, აიტახა ზოგიერთი პირები და შექმნეს უთანხმოება.

მათ ხელოვნურად დააყენეს კითხვა სასკოლო ადგილის არჩევის შესახებ. გაჩნდა დავა. ყველას აღეძრა მადა ძველი საბუდრიდან ამოგდებული სკოლის დაპატრონებისა და მისაკუთრებისა. უკვე რამდენიმე წელიწადია ამ საკითხის გარშემო მწვავე ბრძოლა სწარმოებს და სკოლა კი დაკუწულ-დაქუცმაცებული, თვითო-ოროორ ჯგუფებად, სადღაც დუქნებშია შეხიზნული.

მთავარი მოდავე ორი მხარეა. მდინარე ჭანის წყლის მარჯვენა და მარცხენა მხარე. მარჯვენა მხარეზე მცხოვრებნი 300 მდე კომლი წინააღმდეგ 1.200 კომლისა—მოითხოვენ, რომ სკოლა იქნეს აგებული მათ მხარეზე; ე. ი. მდ. ჭანის წყლის მარჯვენა ნაპირზე, ამ უმნიშვნელო უმცირესობის კაპრიზების დასაკმაყოფილებლად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწილი წალენჯიხისა მუდამ იყო ერთგვარი „სოლოლაკი“,—რეზიდენცია მთავრობის ყველა წარმომადგენლებისა ძველი წყობილების დროს, სავანე ვაჭართა და ყველა შეძლებულ პირთა. ამიტომ ამ მხარეს დღესაც შერჩა (თუ ის ძველი ელფერი არა), პრივილეგიის პრეტენზიები—მაინც. რა თქმა უნდა მათ, როგორც ძველი შეძლებული კლასის მოდგმას, უფრო მეტი გახსნილობა, მეტი გონებრივი განვითარება, მეტი გამბედაობა და თუ გნებავთ მეტ თავხედობაც შესწევთ. აი ამიტომაც ჰბედავენ ეს 300-დე კომლი ასე დაურიდებლად გამოუცხადონ ბრძოლა და წინააღმდეგობა 1.200 კომლს, მათთან შედარებით უფრო დაქვეითებულს გონებრივად და ქონებრივადაც დაბეჩავებულს მშრომელ ხალხს და ყოველგვარი სამართალი და სიმართლე უხეში ძალით გათელონ. ჩვენდა სავალალოდ და სამარცხვინოდ ამ უმცირეს ძალლე მკლავაძეთა მხარეზე არიან და კიდეც მეთაურობენ მათ ეხლანდელი იქაური თემის აღმასკომი, ზოგიერთი პარტიული ამხანაგი, ზოგიერთი მასწავლებელი და ქონებრივად შეძლებული-გავლენიანი პირები. საერთოდ ისინი, ვისაც მოსახლეობა აქვს ჭანის წყლის მარჯვენა მხარეს. და ხომ მოგეხსენებათ,—ვისაც ბატონი სწყალობს, ჭირნახულიც მას მოუვა.—უთუოდ გამარჯვებაც ამ ძლიერთ ამა კუთხისას დარჩებათ წინააღმდეგ ყოველგვარი სამართლიანობისა და პატიოსნებისა. და მათი ძალმომრეობით უნდა დაიჩაგროს 1,200 კომლი ალალ-მართალი და პატიოსანი მშრომელი მასსა. იმისთვის, რომ მათ ვერ იშოვეს დღეს გაგებული მეთაური, გზის მაჩვენებელი, ხოლო მათი უახლოვესი მოჭირნახულე სწორედ სამართლიანობის ღალატით გადუდგა მათ,—სამუდამოდ უნდა დარჩნენ განათლების ტაძარს მოკლებული და ბნელით მოცული.

ამ დაყენებულ მოთხოვნაში დასაყრდნობ საბაბად ამ უმცირესობას ხელთ აქვთ ის შენობა, რომლის აგება რამდენიმე წლის უკან დაუწყიათ ვინმე შელიას და შანავას, ჭანის წყლის მარჯვენა მხარეზე. ეს შენობა განზრახული ჰქონიათ ორ სართულიანად, მაგრამ მეორე სართული ჯერ დაუსრულებელია და უკვე 5 წელიწადია რაც თავ-ღია სდგას და თოვლ-წვიმისაგან იმდენად დაზიანებულია, რომ მთელი ზედა ნაწილი 2 არშინამდე უნდა გადაირღვეს და მხოლოდ ქვედა ნაწილი თუ გამოდგება.

ეს შენობა დღეს ნაციონალიზაციის სახით, აქვთ ჩამორთმეული წინანდელ მეპატრონეებს, მაგრამ იგი სკოლისთვის მაინც ვერ გამოდგება.

სასკოლოდ ასახელებენ მეორე ადგილსაც, სადაც ძველად ბაზრობა (იარმუკა) იმართებოდა, მაგრამ არც ის არის მისაღები; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძლიერ პატარაა და ისიც შიგ შუაგულ ბაზარშია სამიკიტნო დუქნებით ვიწროდ შემოზღუდული, სადაც მუდმივად არღნისა, თუ „გარმოშკების“ ჭყიპინი და მოქეიფეთა, თუ მოვაჭრეთა ღრიანცელი, შეუძლებელად გახდის ნორმალურ მეცადინეობას. გარდა ამისა იგი იმდენად დაბლობია, რომ ყოველ წყალ-დიდობის დროს მოელის წალეკვა და ზედ ჭაობების დაყენება. ამ უკანასკნელადაც, ივლისის ბოლო რიცხვებში, მოვარდნილმა წყალმა გადალეკა იგი და თან წარიტაცა ქვიშა და კირი, რომელიც თურმე სკოლის შენობისათვის დაუმზადებია ხალხს.

აი, სწორედ ყოველივე ეს ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილებას და ესავე დაადასტურა რევიზიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს—განათლების კომისარიატის წარმომადგენელმა გ. ჭუმბურიძემ. მან ზედმიწევნით მოიწონა ის ადგილი სადაც ძველად იდგა სკოლა, სამართლიანადაც მიიჩნია იგი და ოფიციალური განკარგულება-კი დაუტოვა განათლების განყოფილებას, რომ სწორედ იქ აეგოთ სკოლა, სადაც ყოფილა წინად.

მაგრამ ადგილობრივი თემის აღმასკომი დაემუქრა მოწინააღმდეგე მხარეს: „ჭუმბურიძეს-კი არა, თვით განათლების კომისარსაც რომ მიმართოთ, მე მაინც იქ აგაგებინებთ სკოლას, სადაც მე მინდაო“. და როცა გლეხებმა მიუგეს: „ჩვენ ვერ მოვალთ იქო“ მან უპასუხა: „მათრახით მოგიყვანთ და ძალით გააკეთებინებთო!“

მართლაც-და აღმასკომის თავმჯდომარემ გვერდი აუარა განათლების განყოფილებას, ჩირადაც არ ჩააგდო გ. ჭუმბურიძის განკარგულება,—ერთ—ერთი თანამგრძნობი მასწავლებელთაგანი აღჭურვა ისეთი დოკუმენტებით და მანდატებით, როგორიც მის განზრახვას მოუხდებოდა და მიავლინა ვითომ-და საზოგადოების სახელით პირდაპირ განათლების კომისართან.

და აი საკვირველება!.. მასწავლებელმა მეოთხე დღეს ჩამოიტანა განათლების კომისარიატიდან დასტური ამ უმცირესობის განზრახვისა.

ეჭვს გარეშეა, რომ კომისარი შეცდომაში შეიყვანეს და მას არ განუმარტეს სწორად საქმის ნამდვილი ვითარება.

ამ რიგად კიდევ ერთხელ დაკმაყოფილებულია კაპრიზი განებივრებული უმცირესობისა და წალენჯიხის სკოლა მათ თითქმის საკუთარ ეზოში ექნებათ, მაგრამ მეორეს მხრით 1200 კომლი 6—7 ვერსტით იქნება დაშორებული სკოლას, გზაც ისეთი აღმართ-დაღმართია, ზოგან მხოლოდ ქვეითი კაცი თუ გაივლის, და თან ერთი კარგა მოზრდილი მდინარეც ექნებათ გასასვლელი, რომელზედაც ხიდიც არ მოიპოვება და წყალდიდობის დროს, (რაც აქ ძალიან ხშირია) ერც ერთი ბავშვი ვერ ეწვევა სკოლას და უბედური შემთხვევებიც ხშირი იქნება.

აქ ხომ წვიმები ხშირია და ყოველი პატარა წვიმაც კი იწვევს წყლების ადიდებას.

ეხლა თვით მკითხველმა გასაჯოს; რა იქნებოდა უფრო სწორი და სამართლიანი—რომ 300 ოჯახის ბავშვებს ჰქონოდათ სკოლა ნახევარი ვერსტის მანძილზე (და არა საკუთარ ეზოში), თუ 1200 კომლის ბავშვებს, რომელთაც 5—6 ვერსი ჰქონდათ სკოლამდე, კიდევ ნახევარი ვერსტი მიმატებოდა. გარდა მანძილისა უეცრად წყლის ადიდების დროს დაბაში მცხოვრებთ ადვილად შეუძლიანთ მიეშველონ თავიანთ ბავშვებს, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს 6—7 ვერსით დაშორებული მშობელი, რომელიც ვერც-კი გაიგებს მდინარის ადიდებას? ამაზე ხომ ორგვარი პასუხი შეუძლებელია, მაგრამ ეს არ უნდათ დაინახონ ამ გაჭირვეულებულ უმცირესობას.

საჭიროა განათლების კომისარიატმა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება. არ დასტოს შეცდომით გადადგმული ნაბიჯი, დაწვრილებით გაეცნოს საქმის ვითარებას და გამოასწოროს არსებული მდგომარეობა. ამას მოითხოვს განათლების საქმის ინტერესი.

**ოდიშელი.**

## ჩვენც მოგვხედეთ

არ ვიცი, კიდევ მოიპოვება რომელიმე დარგში თუ არა დღეს ისეთი დაბეჩავებული მოსამსახურე, როგორიც არის სოფლის მასწავლებლობა.

ყოველ შემოდგომას, სწავლის დაწყებისას დიდი დაპირებანი გვესმის ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; ამ დაპირებებში იქამდისაც კი მიდიან, რომ სახელმწიფოში პირველ ადგილს ჩვენ გვაკუთვნებენ და უდიდეს ჯილდოს ჩვენ გვინიშნავენ ხოლმე, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება და ამ გაუმჯობესებას ჩვენ ვერ ველირსენით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში, ვიდრე იგი მოღონიერდებოდა, ჩვენ არამც თუ რაიმე მომატებას ვთხოულობდით, არამედ სხვებსაც კი უშლიდით წარედგინათ მთავრობისათვის ასეთი მოთხოვნილება; მაგრამ ეხლა, როდესაც მთავრობა პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც წელში გამაგრდა, როდესაც მან შესძლო ყველა სხვა უწყების მოსამსახურენი საკმარისად უზრუნველეყო, ეხლა კი დროა ჩვენ, სოფლის მასწავლებლებსაც მოგვაქციოს ყურადღება. მგონია სახალხო მასწავლებელი სხვა რომელიმე უწყების მოსამსახურეზედ, თუ მეტად არა, ნაკლებად მაინც არ უნდა იყონ საჭირონი სახელმწიფოსთვის, და თუ ეს ასეა, დროა მთავრობამ ჩვენც მოგვხედოს და თუ კი ყველა სხვა მოსამსახურენი გადაიყვანა ოქროსა და საქონლის მანეთის ანგარიშზედ, ჩვენც ასევე მოგვექცეს.

მასწავლებელი—და ვერც ვერავინ სხვა—ამ სიძვირეში თვიურად 30 მილიონით (სოფლის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ასე იღებს) ვერ იცხოვრებს. იგი იძულებულია ათას სხვა საქმეს მოკიდოს ხელი, ხოლო თავისი პირდაპირი მოვალეობა როგორმე მიაფუჩეჩოს. რასაკვირველია ეს ვერ ახასიათებს მასწავლებელს კარგი მხრით, მაგრამ ვინაა აქ დამნაშავე: მასწავლებელი, რომელსაც თავისი ცოლშვილის სიმშილი იძულებულს ჰყოფს ასე მოიქცეს, თუ ის, ვინც ასეთ მდგომარეობაში აყენებს მას? დროა გამოსწორდეს ეს საქმე, თორემ მისი ძველს მდგომარეობაში დარჩენა თავის მოტყუებაა და სახელმწიფოსათვის ზარალის მეტს ვერაფერს მოიტანს.

დრო არის ჩვენც მოგვხედოთ!

**სახალხო მასწავლებელი.**

## „თარბუთის“ შესახებ

„ტრიბუნის“ № 551-ში სამი ახალგაზრდა ებრაელი მიმართავდა „საქ. ებრაელთა შორის სწავლა განათლების და ებრაულ კულტურის გამავრცელებელ საზოგადოების „თარბუთის“ გამგეობას და მოუწოდებდა მას მოქმედებისაკენ.

როგორც მოქ. დ. ბააზოვმა აცნობა რედაქციას, „თარბუთის“ უმოქმედობის მიზეზი ყოფილა ის, რომ საზოგადოების წესდების დამტკიცება-რეგისტრაცია ჯერ არ ყოფილა დასრულებული.

სამწუხაროა რომ ამდენი დაიგვიანა ამ საქმემ. ქართველი ისრაელები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათი დამხმარე კულტურული საზოგადოების დაარსება-დამტკიცება რად გასჭირდა ასე მაშინ, როცა „დაისები“ და „არტოები“ კაზინოებით და რულიეტკით à la Monte-Carlo ასე სწრაფად და ადვილად არსდებიან.

**ო.**

1909 წ. შეერთებულ შტატებში საავტომობილო ქარხნეში დამზადდა 32,55 საბარგო ავტომობილი. 1919 წელში კი 305,102 ავტ.

არ არის ეჭვი, რომ მომავალში საავტომობილო ტრანსპორტი დაიკავებს შეერთებულ შტატებში უდიდეს ადგილს სხვა ტრანსპორტთა შორის.

## რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ციფრებში.

1922 წ. სახ. გამომცემლობის მიერ გამოშვებულმა წიგნებმა თავის რიცხვით ბევრად გადააჭარბა რუსეთის უდიდესი წიგნის გამომცემლობის ფირმას, სიტინის ამხანაგობას, რომელიც უშვებდა საშუალოდ წლიურად—820 სახელწოდების წიგნს, დაახლოვებით 2,000 ფურცლიანს, 14,000,000 ცალს, 32 მილიონ დაბეჭდილ ფურცლებს.

სახ. გამომცემლობის პროდუქცია სიტინის წიგნის გამომცემლობასთან 100 პროც. შემდეგ პროცენტულ დამოკიდებულებაში გამოიხატება: სათაურები წიგნებისა—177 პროც. აწყობილ ფურცელთა—760 პროცენტ., ცალი—103 პროც. დაბეჭდილი ფურცლები 500 პრ.

ამნაირად წიგნების პროდუქცია სახგამომცემლობისა 1922 წ. დაბეჭდილი ფურცლების რიცხვით აჭარბებდა რუსეთის უდიდესი გამომცემლობის ფირმას ხუთჯერ.

წიგნების წარმოება რუსეთში 1922 წ. გამოხატული ომამდი არსებული ფასის მიხედვით ნაანგარიშევი გასასყიდი ფურცლის ფასით 7, 5 კაპ.,—უდრის 13,500,000 მან., რაც შეადგენს 40 პროც. ომამდე არსებულ პროდუქციისას.

75 პროცენ. ამ ჯამისა (11 მილ. მან.) ეკუთვნის სახ. გამომცემლობას.

ექვსი თვის განმავლობაში 1922 წ. სახგამომცემლობამ გამოუშვა 960 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი, ბროშურა, ჟურნალი და სხვა. საერთოდ კი 145,440,225 ნახ. დაბეჭდილი ფურცელი.

მთელი ტირაჟი მიმდინარე ექვსი თვის განმავლობაში გამოშვებული წიგნები შეადგენს 11,641,095 ცალს.

მთელი ამ ნახევარ წლის ტირაჟმა მოითხოვა 245,681 ფუთი 25 გირვ. ქაღალდი.

80 პროცენტი მოსკოვში გამოცემული წიგნებისა იბეჭდება მოსკოვის (ყოფ. სიტინის) ერთ სტამბაში, დანარჩენი მასალა კი დანაწილებულია მოსკოვის სხვა და სხვა სტამბებს შორის.

ნაწილი გამოსაცემი მასალის ეძლევა დასაბეჭდათ კონტრაგენტებს. სულ სახგამომცემლობა მუშაობს 60 სტამბამდე. 1923 წ. გამოშვებული წიგნები ნაწილდება შემდეგ დარგებად.

მეცნიერული—76, სოციალ-ეკონოეიური—156 სამოსწავლო—273, სამხატვრო-სალიტერატურო—286, სამეცნიერო-პოპულიარული—94, ხელოვნებაზე—31, საბავშო | 57. სხვა და სხვა—42.

პირველ ადგილზე სდგას სამოსწავლო წიგნები (6 ნახ. მილიონი ცალი 71 მილიონი ფურცლები).

განსაკუთრებით დღეს დიდი მუშაობა სწარმოებს სამოსწავლო წიგნების გამოშვების გარშემო.

შემოდგომაზე გამოვა 160,000,000 სამოსწავლო წიგნი (იმ დროს როდესაც გასულ წელში გამოვიდა მხოლოდ 6 მილიონი) ამ აუარებელ წიგნთა დიდი რიცხვის გამოცემათა შორის მხოლოდ 10 პროცენტი არის ხელ მეორეთ გამოცემული, 15 პროცენტი გადაკეთებული, 75 პროცენტი. გამოცემული სამოსწავლო წიგნები შედგენილია ახლად თანამედროვე ახალი პედაგოგიკის მიხედვით.

### წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ ეს ჩემი განმარტება თქვენი გაზეთის ფურცელზე. გაზეთ „ტრიბუნის“ № 527-ში მოთავსებულია თვითმშრომელთა კავშირის თავმჯდომარის ჩხეიძის წერილი, ვარლამ ჩლაიძის საპასუხოდ დაწერილი, სადაც ჩხეიძე სწერს შემდეგს: ვითომც მე ჩემი სიტყვა, რომელიც ვსთქვი 14 ივნისის დელეგატთა კრებაზე კომიტეტის ზოგი წევრი ჯიბეებს ისქელებსთქო, წამომცდენოდეს შეუგნებლობის გამო და ამიტომ უკან წამეღოს. ვაცხადებ ყველას გასაგონად, რომ მე სრულის შეგნებით ვსთქვი და დავამტკიცებ კიდევაც ამ „ჯიბის გასქელებას“ იქ, სადაც მომთხოვენ პასუხს. ჩხეიძის ასეთი საქციელი ჩემს წინააღმდეგ კი არის თვითონ ჩხეიძის შეუგნებელი და უგნური გამოსვლა და არა ჩემი, რადგან მე ჩემი სიტყვა უკან არ წამიღია. მე ვერ წარმომიდგენია, რაღა ფასი აქვს ჩხეიძის პასუხს, როდესაც ასეთ სიცრუესა სწერს და ტყუილებით ცდილობს თავის გამართლებას.

ვიმეორებ, ეს თავიდან ბოლომდე სიცრუეა, რომ ვითომ უკან წამეღოს ჩემი სიტყვა და ვერც ერთი დელეგატი ამას ვერ იტყვის ვისაც ოდნავი პატიოსნება აქვს. დასასრულ, ურჩევ ორთავე მხარეს ურთიერთშორის კინკლაობის და შუღლის ნაცვლად, მოუღონ ბოლო ამ ინციდენტს და ის ენერგია, რომელსაც ისენი ერთმანეთის ბრძოლაში ხარჯავენ, საზოგადო საკეთილდღეო ხელოსნების საქმეზე დახარჯონ.

თუ ჩლაიძეს და ჩხეიძეს ერთმანეთში კონფლიქტი აქვთ, მე რათ მიხვევს ჩხეიძე ხელზე ბრმა იარაღათ, ზემოხსენებული სიტყვების გამო.

საკვირველია, რათ ჩამთვალა ჩხეიძემ ისეთ პიროვნებათ, რომ ვითომ არ მესმოდეს რას ვლაპარაკობ, ალბათ თვითონ ჩხეიძეს არ ესმის ხოლმე, რას ლაპარაკობს და სხვაც ასე ჰგონია.

ყოფილი დელეგატი **ვანო ლებანიძე**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

## ამერიკის რკინის გზები

შეერთებული შტატები რკინის გზების მხარეა. არსად მსოფლიოში ორთქლის ტრანსპორტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ თამაშობს ისეთ როლს, როგორც ამერიკაში.

შეერთებულ შტატებს-უჭირავს 3,026,788 კვ. მილ. სივრცე 105.688.108 სული მცხოვრებლები. ეს სივრცე დახლართულია რკინის გზის ქსელი 206.381 მილის სიგრძეზე, რომელსაც არ ეთვლება უდიდესი სიგრძე ვიწრო შტოები რკინის გზისა და სხვა.

ამნაირად შეერთებულ შტატებში რკინის გზის ხაზის ერთ მილზე მოდის 11 ნახ. კვად. მილი სივრცისა და 400 სული მცხოვრები.

რუსეთში კი 1916 წ. მოცემული ცნობებიდან 8,300,000 კვად. მილ. სივრცეზე სცხოვრობს 167 მილიონი მცხოვრები და რკინის გზის ქსელი კი უდრის 48,965 მილ. (რკინის გზის ერთ მილზე მოდის 170 კვ. მილ. სივრცე და 3.400 სული მცხოვრები).

ამ შედარებებიდან სჩანს, რომ რკინის გზის ხაზის შეფარდება 15-ჯერ ფურო მეტია რუსეთზე და მცხოვრებლები კი 8-ჯერ.

რკინის გზებს ამერიკაში ამ მხარის უმაღლესი მრეწველობის განვითარების გამო აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

ქალაქებს, რომელთაც არა აქვთ მომარაგებული სურსათი იძენენ ყოველ დღე და ამნაირად, სრულიად დამოკიდებული არიან დიდი რკინის გზის ხაზების მოძრაობაზე, რომლითაც იმათ ყოველ დღე მოაქვთ სურსათი.

სოფლის მცხოვრები არა ნაკლებ ქალაქისა არიან დამოკიდებულნი რკინის გზების მოძრაობაზე,

ფერმერები ფაქტიურად მხოლოდ ნედლად ამუშავებენ საქონელს და შემდეგ კი გზავნიან ქალაქში გადასამუშავებლად და იქიდგან კი ღებულობენ მზა სურსათს.

განსაკუთრებული ინტენსიური მუშაობა რკინის გზის ხაზების გასამრავლებლად ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო სამოქალაქო ომის შემდეგ 1861—65 წლებში. მანამდე კი ტრანსპორტი იყო მხოლოდ მდინარეებზე, ტბებზე და არხებზე და დიდი შინა რაიონებში რომელნიც მოშორებით მდებარეობდენ წყლის გზებზე ტრანსპორტის განუვითარებლობის გამო განიცდიდნენ დიდ დანაკლისს. მაგრამ მას შემდეგ, რაც რკინის ქსელმა მთელ მხარეს გადაეკრა—სამიმოსვლო მდინარეებმა თავის მნიშვნელობა დაჰკარგეს.

შეერთებულ შტატებში შინაგანი სამიმოსვლო წყლის გზები თამაშობენ დღეს ძალიან მცირე როლს. მათ გაუჩნდათ დიდი მოქიშპეები უპირველეს ყოვლისა ელექტრონის ტრამვაი. დიდი ხანია მას შემდეგ არის, რაც ტრამვაი დადიოდა მხოლოდ ქალაქებში.

მალე მათ დაიწყეს სიარული ქალაქებს შორისაც.

დღეს დღეობით ტრამვაის ხაზი სჭრის რამოდენიმე შტატებს და მისი სიგრძე ეთანასწორება რამოდენიმე ათას ვერსტს

მთელი სიგრძე ელექტრონის ტრამვაის ხაზებისა აღწევს 70,000 მილს.

და მისი სიგრძის რაოდენობა დღითი დღე ორკეცდება.

მაგრამ ეხლა რკინის გზას გაუჩნდა ახალი მოქიშპე: ეს არის ავტომობილი.

უკანასკნელ 15 წელიწადში ავტომობილის წარმოებამ შეერთებულ შტატებში მიაღწია განვითარების უუდიდეს წერტილს.

1914 წელში შეერთებულ შტატებში იყო 1,253,034 ავტომობილი.

ხოლო 1920 წელში 7,904,271 ავტომობილი, ე. ი. საშუალოდ ერთი ავტომობილი მოდის 14 კაცზე.

რამდენადაც განვითარდა ავტომობილების წარმოება, იმდენად სამიმოსვლო გზები შესვები გაუმჯობესდენ. დიდ ავტომობილების მიმოსვლებისათვის არის გაკეთებული დიდრონი გზები, რომელიც გადაჭიმულია მთელ შეერთებულ შტატებში.

ომის დროს, როდესაც დაკავებული იყო რკინის გზები ძალიან განვითარდა ავტომობილებით მიმოსვლა.

დღეს-დღეობით შეერთებულ შტატებში გადაზიდ-გადმოზიდვა დაკისრებული აქვს საბარგო ავტომობილებს.

ამათი რიცხვი დღითი დღე იზრდება.


# განცხადება

## ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს დანიშნულია

# შეჯიბრება

იჯარით ასაღებათ ზაჰესისათვის **სამასალო საწყობის ასაგებ სამუშაოთა**, რომლებიც შესდგება:

1) **ეკლიანი მავთულის ღობე** ხუთ რიგათ ბოძებზე 1 საჟ. სიმაღლით საერთო მანძილით 45 გრძივი საჟენისა.

2) **მიწის ნაყარის პლატფორმა** 0,5 საჟ. სიმაღლით და 5 საჟ.×40 საჟ.

3) **ქვის კედლები—კირზე წყობით** პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოებით 16 კუბ. საჟ.

4) **ხის ფარდული ლითონის სახურავით** ნივნივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5×15 საჟ. სიმაღლე 1,4 საჟ.

5) **ხის შენობა** საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4 საჟ.×15 საჟ. და სიმაღლე 1,4 საჟ.

6) **დროებით საცხოვრებელი შენობა** ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით ხის იატაკით და ჭერით მთლიანად აგლესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმაში დაახლოვებით 50 კვ. საჟ. და სიმაღლით 1,7 საჟ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარადრის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირებმა, რომლებსაც სურს აიღოს აღნიშნული სამუშაონი მთლიანად, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯიბრებისათვის; ამ რიცხვს გაიხსნება კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით საგადასახადო ქვითარის შედგენის დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბირჟის მიერ გამოცხადებული.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდრად შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდრის შეტანისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყონებლივ დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აიღო სამუშაო, რჩება ზაჰესკომის სალაროში და შევსებული იქნება 10 პროც. საიჯარო თანხისა, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროც. დაჭერით და დაუბრუნდება სავსებით სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობებისა და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე (ქ. ტფილისი ლ. დუმბაძეს ქუჩა სახლი № 3).

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი ინჟინერი **ზ. ჭიჭინაძე.**

№ 393 3—2


ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 567 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4